

Rostom Chkheidze

როსტომ ჩხეიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Basil Melikishvili Observed as a Character

(From Mikheil Javakhishvili's "Arsena Marabdeli" gallery)

ბასილ მელიქიშვილი როგორც პერსონაჟი

(მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ გალერეიდან)

One of the young writers most esteemed by Mikheil Javakhishvili in the 1920s was Basil Melikishvili, whose novelette "Smokeenshrouded Swallow" was published in 1928, appearing in the inaugural and simultaneously closing issue of journal, Ariphioni.

The senior fellow writer, Mikheil Javakhishvili, had previously depicted Basil Melikishvili's character in his novel "Arsena Marabdeli," set a century earlier. This narrative served as a reflection of contemporary societal and political turmoil, particularly the 1924 uprising and its leader, Kakutsa Cholokashvili, who appeared as the implied prototype of Arsena Marabdeli, and a reflection of Kakutsa's biography.

In portraying Arsena's entourage, Javakhishvili drew from the essence of Kakutsa Cholokashvili's companions, imbuing characters with similar traits. Melikishvili, deeply involved in the uprising's planning and closely associated with Kakutsa Cholokashvili, thus transformed into Arsena's younger brother, Erekle Odzelashvili.

The novelist assigned profound symbolic significance to the final scene – the dapple grey horse of Arsena, escaping Giorgi Kuchatneli, rushes towards Erekle and invites to ride it.

Keywords: Heir, liaison, prototype, symbol, mythological

საკვანძო სიტყვები: მემკვიდრე, მეკავშირე, პროტოტიპი, სიმბოლო, მითოსური

1926 წელს ჯერ რა დროს ამგვარი განცდები იყო, მიხეილ ჯავახიშვილი ასე მძაფრად რომ შეიგრძნობდა და სულაც პირად ტრაგედიად გაიაზრებდა.

45-46 წლისა კი გახლდათ, მაგრამ ორიოდე წლის წინათ დაბრუნებოდა მწერლობას ხელმეორედ და საბოლოოდ და... თითქოს ჯერ არ უნდა გასჩენოდა ამგვარი ფიქრები, თორემ დღიურში ხომ არ უნდა შეეტანა და არა.

რას მიიჩნევდა თავის ტრაგედიად და:

არა მყავს მემკვიდრე – არც ფიზიკური (ვაჟი), არც სულიერი ლიტერატორიო (4, 159).

ფიზიკური მემკვიდრის უყოლობას რომ განიცდიდა, რა გასაკვირია, მაგრამ... სულიერი ლიტერატორისა უკვე?

რა ეჩქარებოდა, სული რატომ უსწრებდა?

მაგრამ თუკი მისი განცდების მდულარებაში ჩახედვას შევეცდებით, მივუხვდებით ამ ფიქრისა – და მეტიც – ტკივილის მიზეზს, და ველარც აჩქარებასა თუ სულსწრაფობას დავინახავთ მისი დღიურის ამ სტრიქონებში.

დახვრეტას რომ გადარჩენოდა – თანაც თერთმეტჯერ გაეყვანათ დასახვრეტად და უკანვე შემოებრუნებინათ, რითაც უთუოდ გაუნელებელ ფსიქოლოგიურ ტრავმას მიაყენებდნენ, – რა გარანტია ჰქონდა, რომ:

კვლავაც არ შეაბრუნებდნენ უშიშროების საკანსა თუ ციხის კედლებში და ახლა კი მისი გაყვანა დასახვრეტად საბოლოო და საბედისწერო იქნებოდა?!

ამიტომაც უფეთქავდა სულიც და გულიც მემკვიდრის სახილველად:

ფიზიკურისაც და სულიერისაც.

ეს ფიქრი შესაძლოა ისედაც გასჩენოდა, მაგრამ მწარე თავგადასავალი – მის ბიოგრაფიას 32-იანელ მწერალთა ბიოგრაფიებს რომ დაამსგავსებდა („ჩემი ბედი ძლიერ ჰგავს გ. ერისთავის, ორბელიანებისა და სხვათა ბედს. ჯერ სიკვდილი გადაუწყვიტეს, მერე აპატიეს. დიდი მწერლები გამოვიდნენ. ჩეკაში ამაზე ვფიქრობდი“) – ისერიგად მოუჭერდა გულზე, ვერ მოითმენდა, ეს გაუნელებელი ფიქრი დღიურისთვისაც არ მიენდო, თანაც რა სიმაღლეზე აეზიდა:

ჩემი ტრაგედიაო!..

ვერ მოესწრებოდა ლიტერატურის ასპარეზზე ოთარ ჩხეიძის გამოსვლას, ვინც უნდა მოვლენოდა სულიერ მემკვიდრედაც და უშუალო გამგრძელებლადაც მისი გოლგოთური ტვირთისა.

ვერ მოესწრებოდა გამოქვეყნებას კოტე ხიმშიაშვილის რომანისა „ჯონქა ხორნაული“, რათა უფრო დაეხევიტებინა ის იმედი, იმისი პირველი ნოველების გაცნობა რომ გაუჩენდა:

აჰადა, ესეც ჩემი სულიერი მემკვიდრეო.

მანამდე ეს იმედი ბასილ მელიქიშვილს რომ უნდა ჩაესახა მიხეილ ჯავახიშვილისათვის, ლიტერატურულ ნათლიადაც რომ მოველინებოდა და გზას დაულოცავდა „არიფონის“ ფურცლებზე პირველი მოთხრობის – „მკერდშეხოლილი მერცხალი“ – გამოქვეყნებით (5, 605-17).

ჯერ მარტო ის გარემოება რად ღირდა, ის პოლიტიკური ორიენტირი:

ამ მოთხრობაშიც ისევე რომ გაიღვებდა ალექსანდრე ბატონიშვილის ლანდი, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“.

ბასილისთვისაც მახლობელი გახლდათ ის სამყარო, აჩრდილთა ის სავანე, ასერიგად რომ აღელვებდა მის წინამორბედს.

სტილურად უფრო ვასილ ბარნოვის მხატვრულ-ესთეტიკურ კონცეფციას რომ მიჰყვებოდა? – განსაკუთრებით მოთხრობაში „თურმანი“ (1, 14-72)?

მაგრამ ყოფითი რეალობის უკიდურესი, დაუნდობელი, შეუპოვარი გამიშვლებით სულიერ ნათესაობას სწორედ მიხეილ ჯავახიშვილთან გამოიჩენდა და... იმასაც როგორ არ გაეფიქრა:

მგონი მორჩა ჩემი ტრაგედია, ფიზიკური თუ არა, სულიერი მემკვიდრე ხომ მაინც გამომიჩნდაო.

მაგრამ...

ეს „მაგრამ“ აქაც უშნოდ რომ უნდა ჩაჩხერილიყო, თანაც საბედისწეროდ:

ბასილ მელიქიშვილი ახალგაზრდობაშივე უნდა გამოთხოვებოდა წუთისოფელს.

და ეს ტრაგედია ასე უნდა ასახულიყო მიხეილ ჯავახიშვილის 1930 წლის დღიურში:

– ბასილა მელიქიშვილის გასვენება წყნეთიდან. ურემზე დასდეს. კოფოზე და დაუჯდა ქვითინით (4, 257).

შემძვრელ სურათად ჩაიხატებოდა, კინოკადრივით რომ უნდა აღბეჭდოდა მეხსიერებას ყველა იმ მკითხველისა, ამ ჩანაწერს ვინც გაეცნობოდა.

და თუმც ბასილ მელიქიშვილს არ დასცალდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის სულიერი მემკვიდრე გამხდარიყო და ჯვრის ზიდვაში შეშველებოდა, პროტოტიპად ხომ მაინც გამოადგებოდა მისი ხასიათი უფროს თანამოკალმეს.

ის სურათი ხომ არ აღმოჩნდებოდა ბიძგი, დღიურში რომ ჩაენიშნა და სიუჟეტური ქარგის მარცვალსაც შეიცავდა, რეტროსპექტულად რომ შეიძლებოდა გაშლილიყო თხრობა?!

არა, ეს სურათი არა.

რომანის ფურცლებზე კი უნდა მოხვედრილიყო ბასილ მელიქიშვილი, „არსენა მარაბდელის“ პერსონაჟთა კოლორიტული გალერეა მისი სახეებითაც რომ უნდა შეესებულებოდა.

და ეს გარდასახვა ბასილისა პერსონაჟად ლიტერატურულ კულუარებს უნდა შემოენახა.

კი მაგრამ:

როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი ესეიში „როგორ ვმუშაობ“ თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარს ოდნავ შეგვიხსნიდა და იმასაც გვამცნობდა:

მოგონილი ტიპი მშრალი გამოდის, პროტოტიპიდან გადმოღებულს კი მეტი სიცოცხლე ეტყობაო (3, 181), –

თვალსაჩინოებისათვის სწორედ „არსენა მარაბდელიდან“ მოიხმობდა მაგალითებს და... ბასილ მელიქიშვილს კი არ ახსენებდა, არადა ხელსაყრელი შემთხვევა მისცემოდა, ერთ-ერთი პერსონაჟის მხატვრული გააზრების სათავე გაეხსნა და უდროოდ წასული მწერალიც გაეხსენებინა.

ასეც მოიქცეოდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარემოში რომ დაეწერა ეს ფსიქოლოგიური ნარკვევი და არა უკვე უაღრესად გამკაცრებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, 1933 წლის ოქტომბერში, როდესაც ხელისუფლება ყელში წაუჭერდა მწერლობას და გასაქანს აღარც დაუტოვებდა.

ამიტომაც შეეცდებოდა მიხეილ ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელის“ პერსონაჟთა პროტოტიპების მიფარვას, არამცთუ მათი წარმომავლობა გულლიად გადაეხსნა.

აგერ უმთავრესი:

არსენას ტიპის ასახვისას ჩემი ბიძაშვილი ბაგრატ ბურნაძე მედგა თვალწინო (3, 181).

არადა სინამდვილეში:

არსენას ტიპის ასახვისას თავისი ბიძაშვილი კი არა... ქაქუცა ჩოლოყაშვილი ედგებოდა თვალწინ.

ამის გამხელას ცხადია მოერიდებოდა, თორემ უკვე მოუწევდა თავის დადება გილიოტინაზე, 1937 წლამდე რაღას მოუთმენდნენ.

და კიდევ მარჯვედ უნდა შეებურა თვალწინ დატრიალებული პოლიტიკური ამბები საუკუნის წინანდელი ანტურაჟით, ეროვნული აჯანყება კი – სოციალური ბრძოლის საფარით.

ღვთისავარი, მამა არსენასი, ვითომდა მწერლის პაპა გახლდათ – ანდრო ბურნაძე, ლაცაბიძე კი თავად მელიქიშვილის მზარეული სანდრო (3,181).

ისე გვარს – მელიქიშვილი – როგორ შემოაპარებდა, თითქოსდა ლაცაბიძის პროტოტიპის ვინაობა უნდა ემცნო მკითხველისათვის, ამასობაში კი ამ გვარს გაახშიანებდა – გვარს ბასილისა, რომელიც უშუალოდ გახლდათ დაკავშირებული ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თავის მეგობარ მიხო ბერიტაშვილთან ერთად.

შეფიცულთა რაზმის წევრები არა ყოფილან, მაგრამ მეკავშირეებად კი ძალიან გამოადგებოდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ბელადს, ფარულად და მარჯვედ რომ მიმოდიოდნენ ამბოხებულებსა და მოსახლეობას შორის და სანოვანის მიწოდება იქნებოდა თუ ახალ-ახალი ცნობებისა, რაც შეეძლოთ ამარაგებდნენ შეფიცულებს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანაბარებიც მოჰქონდათ აჯანყებულთა თანამგრძობელებთან, დათქმულ დროს ყველას ერთბაშად რომ უნდა გაეველო ხელი იარაღისათვის და დაწყებულებოდა ის საყოველთაო ამბოხი, რომლისთვისაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი ასე საფუძვლიანად და მიზანმიმართულად ემზადებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

რომანში არსენა ოძელაშვილს ასეთ მეკავშირეებად თავისი ძმა ერეკლე და მისი მეგობარი ზურა ეგულებოდა, ფათერაკები რომ არ მოაკლდებოდათ და ხან ლამის საბედისწეროდაც გაიხლართებოდნენ, მაგრამ მათ შეუპოვრობასა და გაბედულებას ვერანაირი საშიშროება ვერ შეაფერხებდა.

მსგავსი ფათერაკები არც ბასილ მელიქიშვილსა და მიხო ბერიტაშვილს მოაკლდებოდათ და რომანშიც ეს ამბები, ეს განწყობილება უნდა არეკლილიყო.

ხოლო ის ეპიზოდი – ერეკლესაც რომ გაროზგავენ – პირწმინდად მწერლური წარმოსახვის ნაყოფი უნდა იყოს, რაკიდა ასეთი რამ ბასილს არ დამართნია. თუმც წარმოსახვას კანთიელად უნდა მიენიშნებინა პერსონაჟის მტკიცე ხასიათი, ერთი კვენესაც რომ არ წამოსცდებოდა.

და თუ სხვანი კიდეც იკვენესებდნენ, კიდეც იკივლებდნენ და კიდეც გმინვად დაიღვრებოდნენ, ღვთისავარ ოძელაშვილისათვის ვერ უნდა ამოელებინებინათ კრინი. რათა არ შერცხვენილიყო და არ დაეყვირა, პირში მოკლე სახრე რომ უნდა ჩაედო და ნახევარი უკვე გადაეღრღნა.

და იქვე გვერდით ერეკლე რომ იწვებოდა, მამას დროგამომშვებით უნდა დაეძახა შვილისათვის:

– შვილო, თავი არ მომჭრა!.. არ დაიყვირო!.. (2,128).

და ვერც ერეკლესათვის უნდა წამოეცდენინებინათ კრინი.

უკვე აქედან იგრძნობა, ამ ყმაწვილკაცს განსაკუთრებული როლი რომ უნდა შეესრულებინა შემდგომ დატრიალებულ მოვლენებში.

და კიდეც:

გიორგი კუჭატნელი, მუხანათურად მკვლელი არსენასი, ერეკლეს წერა უნდა შეიქმნას, ჰასანსა და გიგუასთან ერთად რომ ჩაუსაფრდება ბებრისციხესთან იმასაც და იმის თანმხლებ ლეკსაც – გამზათ ედინს.

კუჭატნელი არსენას ლურჯაზე უნდა მჯდარიყო, დავლად რომ დარჩებოდა არსენას იარაღთან ერთად.

თუმც ბარემ მრავალჯერ ეცადა ლურჯაზე ამხედრება, მაგრამ რაში არაფრისდიდებით არ იკარებდა, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა, ავად უბღვერდა, ანჩხლად ჭიხვინებდა, ყალყზე დგებოდა და ახალ პატრონზე ტორებითა და კბილებით მიიწევდა. ერთხელ კიდეც მოიგდებდა ფეხქვეშ და ისე მისჩიქვამდა, რომ კუჭატნელს მრავალი არტამანი დასჭირდებოდა (2, 547).

გამორჩეულობა ლურჯასი, ამ პასაჟით ერთხელ კიდეც რომ უნდა გათვალსაჩინოებულიყო, ხელშესახებს ხდიდა მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაფიქრს:

ცხენი სიმბოლურ სიმაღლეზე აეზიდა და მითოსური იერიითაც შეემკო.

ასეთი ძნელი დასაურვებელი ამიტომაც გამხდარიყო.

კუჭატნელი ბოლოსდაბოლოს თავისას როგორ მიაღწევდა?

როგორ და:

გაკაპასებულ ურიადნიკს იმ დღიდან ლურჯასათვის ქერი უნდა მოესპო და წყალიც და თივაც გაენახვერებინა.

ასეთი მოპყრობა კი ლურჯას დაადნობდა, მკვრივ ტანს დააყრევინებდა, ამაყ თავს ჩააქინდრინებდა, თვალეში ცეცხლს ჩაუქრობდა, ნელ-ნელა მოთვინიერდებოდა და იქამდე დაცხრებოდა, რომ მის ფეხქვეშ პატარა ბავშვებიც კი ითამაშებდნენ (2, 547).

ასე უნდა მოეხნა შიმშილს აღმართი და მხოლოდ ასეთი სასტიკი ხერხის მეოხებით შემჯდარიყო კუჭატნელი ლურჯაზე.

არადა იმისთვის, რაც ასერიგად გაუძნელდებოდა არსენა ოძელაშვილის მკვლელს, სულ იოლად უნდა მიეღწია შურისსამიებლად შემართულ ერეკლეს.

და ხეობა სამჯერ რომ დაიქუხებდა და, ვიდრე გამოძახილი ბებრისციხიდან უკანვე დაბრუნდებოდა, გიორგი კუჭატნელიც და გამზათ ედინიც ერთმანეთის მოშორებით რომ დაეყრებოდნენ მიწაზე, ლურჯას ერთხელ კიდეც უნდა დაეჭიხვინა, თავისი მომთვინიერებლის გვამი დაესუნა, ცალი ფეხი ჩაეკრა, მერე ერეკლეს მივარდნოდა და ზურგი მიეშვირა (2, 547).

ამ ყოფით დეტალსა თუ სურათში სიმბოლური აქტი უნდა განზოგადებულიყო ლურჯას მხატვრული ფუნქციის გამოისობით.

ეს ფუნქცია რომ არა, ამ ეპიზოდს ვერ მიენიჭებოდა ის სიმბოლურ-მითოსური დანიშნულება, რაც არსენა მარაბდელის ცხედართან უკვე უნდა მომხდარიყო, ჭირისუფლად მოსული უამრავი ადამიანი ვერაფრისდიდებით რომ ვერ იჯერებს ანუ არაფრისდიდებით არა სურთ დაჯერება, რომ:

არსენა მართლაც მოკლულია!..

ვერ ამსგავსებენ გმირს და ამ ყოველივეს მთავრობის ოინებს მიაწერენ იმ იმედით:

არსენა სათათრეთში გადასულა და თავის დროზე დაბრუნდებაო (2, 545).

და ეს თითქოსდა მიამიტური, არადა ღრმა აზრით განმსჭვალული რწმენა მწერალს თავისი მხრივაც უნდა გაემყარებინა:

იმ დღიდან არსენას წასვლისა და დაბრუნების მოლოდინი სწრაფად რომ მოედებოდა გლეხ-კაცობას და შემდეგ ლეგენდადაც გადაიქცეოდა, ეს ლეგენდა უკვე ვეღარც საბუთს უნდა წაეშალა და ვეღარც დროს ამოეფხიკა (2, 545).

ეს ლამაზი ლეგენდა მიხეილ ჯავახიშვილს ყრმობისას რომ უნდა გაეგონა (2, 570), ხელიდან როგორ გაუშვებდა, რომანის ფინალი მისით არ გაეცისკროვებინა, მითუმეტეს:

ამ ლეგენდით შემოსილიყო ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი.

და აგერ მის თვალწინ იმოსებოდა ამ ლეგენდით სახელი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, რომლის მოლოდინიც ბოლომდე გამოჰყვებოდა პოლიტიკურ კაბალაში ხელმეორედ მოხვედრილ საქართველოს.

ამ მოლოდინს თავის მხრივ გაამლიერებდა „არსენა მარაბდელიც“.

არსენა ოძელაშვილის პროტოტიპი ჩემი ბიძაშვილიაო, რომ ირწმუნებოდა მწერალი ცენზურისა და ბოლშევიკურ-ჩეკისტური კრიტიკისათვის თვალის ასახვევად, ადვილად რომ ვერ გამოსდებოდნენ, თორემ ბევრი ადამიანისათვის დაფარული არ დარჩებოდა მარაბდელის პროტოტიპის ნამდვილი ვინაობა.

და ბასილ მელიქიშვილის ხსენებაც არ შეიძლებოდა, რათა მიხეილ ჯავახიშვილს დაგეშილი კრიტიკოსები უნებურად კვალზე არ დაეყენებინა და ბასილის სახელით არ გახსნილიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის გაიგივება არსენა მარაბდელთან.

თვითონ ბასილს აკი უტრიალებდნენ ჩეკისტები, მაგრამ ვერადავერ გამოიჭერდნენ ვერც მას და ვერც მიხო ბერიტაშვილს, უვნებლად რომ გამოაღწევდნენ დაგებულ მახეებს.

თუმც ბასილის მამას კი მიწვდებოდნენ და ჯერ მეტეხის ციხეში გამოამწყვდევდნენ და მერე არც დახვრეტას ააცილებდნენ.

ამ პირად ტრაგედიას ძალიან უნდა ემოქმედა ბასილ მელიქიშვილის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობაზე, გამძაფრებოდა ჭლექი და... კიდევ მიეყვანა ამ განუკურნებელ სენს სამარის კარამდე.

მერე იყო:

ურემზე რომ დაასვენებდნენ ცხედარს და კოფოზე და დაჯდებოდა ქვითინით.

გამოცლებოდა ხელიდან ასე უეცრად მიხეილ ჯავახიშვილს თავისი ლიტერატურული მემკვიდრე?

თუმც ბედისწერას იმით შეეწინააღმდეგებოდა, რომ:

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულიერ მემკვიდრეობას არგუნებდა რომანის ფურცლებზე.

ერეკლესაც რომ შეარქმევდა მეტი შთამბეჭდაობისათვის.

და მასაც სიმბოლურ მანტიაში გაჰხვევდა, ამ სიმალლეზე აზიდავდა, როდესაც ლურჯას აგრძნობინებდა თავის მომავალ პატრონს, ერეკლე ოძელაშვილთან მიაჭენებდა და ზურგსაც მიაშვერინებდა.

დაე ისტორია ყოფილიყო უმადური ვინმე.

მხატვრული სიტყვის ძალას ხომ მაინც უნდა მოეფინა თავისი მადლი და შარავანდედი ბასილ მელიქიშვილის ტრაგიკული სახეებისათვის...

არა მყავს მემკვიდრეო – კვლავაც გულს უნდა შეწყდომოდა მიხეილ ჯავახიშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მელიქიშვილი, ბასილ. (2021). „თურმანი“, მოთხრობები, მინიატურები, ლექსები, პირადი მიმოწერა, წერილები.
- ჯავახიშვილი. მიხეილ. (1977). „არსენა მარაბდელი“, თხზულებანი რვა ტომად, ტომი მეოთხე, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“,
- ჯავახიშვილი. მიხეილ. (1980). წერილები, თხზულებანი, ტომი მეექვსე.
- ჯავახიშვილი. მიხეილ. (2015). უბის წიგნაკებიდან, თბილისი: „ინტელექტი“.
- ლიტერატურული ჟურნალები (1910-1920-იანი წლები). (2011). მეოთხე წიგნი (გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ლიტერატურა და სხვა, მემარცხენეობა, მოქმედება, არიფიონი), ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

References:

- Javakhishvili, Mikheil. (1977). „Arsena Marabdeli“. Tkhzulebani rva t'omad. T'omi meotkhe. [“Arsena Marabdeli”, works in eight volumes, volume four]. Tbilisi: „sabh'ota sakartvelo“.
- Javakhishvili, Mikheil. (1980). Ts'erilebi, tkhzulebani, t'omi meekvse.
- Javakhishvili, Mikheil. (2015). Ubis ts'ignak'ebidan. [From Ubi's books]. Tbilisi: „int'elekt'i“.
- Lit'erat'uruli zhurnalebi (1910-1920-iani ts'lebi). (2011). Meotkhe ts'igni (galak't'ion t'abidzis zhurnali, lit'erat'ura da skhva, memartskheneoba, mokmedeba, aripioni). [Literary magazines (1910-1920s). Fourth book (Galaktion Tabidze's magazine, Literature and others, Leftism, Action, Aripioni)]. Kartuli lit'erat'uris sakhelmts'ipo muzeumi.
- Melikhishvili, Basil. (2021). „Turmani“. Motkhrobbi, miniat'urebi, leksebi, p'iradi mimots'era, ts'erilebi. [“Thurman”, stories, miniatures, poems, personal correspondence, letters].